ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

СССР

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 237 (19379) ◆ სამშაბათი, 15 ოქტომბერი, 1985 წელი ◆ ფასი 8 კაპ.

საცდელი მატარებლის გაშვების საორგანიზაციო შტაბი გაწყვეტილ სადგურ ღრმაღელეში. ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავდა, და მიმღები კომისიის წევრები რიგრიგობით იღებდნენ ტელეფონოგრამებს.

— გადასარბენი გვირაბები დალიანდაგები მზად არის სადილი მატარებლის მისაღებად...

— საკონტაქტო ქსელი წესრიგშია...

და, ბოლოს, ნანატრი ზარი:

— შემადგენლობა გამოვიდა სადგურ დიდუბიდან.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამბმულმა საყვირმა გვაცნო მატარებლის მოახლოება. იგი ნელა მოდიოდა, საათში 20 კილომეტრი სიჩქარით.

ამ მომენტს მთელი ხუთი წლის მანძილზე ელოდებოდა ყველა, ვინც შეკრებილი იყო სადგურ ღრმაღელის ვრცელ დარბაზში.

აქ ვერ ნახავდით ადამიანს, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღო მეტროპოლიტენის ახალი სადგურების მშენებლობაში, რომელთა გახსნას ასე მოუთმენლად ელიან თბილისის დიდი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის მეცხოვრებლები და მეშუბი.

მინისძვეშა მძლავრი აგრეკლვრს ეარშუტს

— ღრმაღელე, თემქა და ვარკეთილი სამი სადგურია, რომლებიც თვეზე ნაკლებ დროში გადადაცემა საექსპლოატაციოდ, — თქვა მშენებლებე მეტროპოლიტენის დირექციის მთავარმა ინჟინერმა ო. ქინქლაძემ. — ექვსი კილომეტრი და 770 მეტრი — ისეთია ორლიანდაგიანი გვირაბების სიგრძე. სადგურებთან ერთად გადაეცემთ საკაგონო დეპოსაც.

ინფორმაცია ლაკონური, მის უკან კი გვირაბმშენებელთა, გვირაბგამყვანთა, მბენტონეთა, მეარმატურეთა, ლიანდაგის დამგებთა, მემონტაჟეთა, კაკშირგამბულობის მუშაკთა, ზეინკალთა, მომპირკეთებელთა ყოველდღიური შრომაა...

— დღეს ჩემი პირველი შრომითი დღესასწაულია, — აღელვებულმა გვამცნო ახალგაზრდა გვირაბგამყვანმა ო. ბერაძემ, საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტმა, — მატარებლის პირველი გამვლება, რომლის გზა მეც გავიყვანე.

მემონტაჟე გ. მირონენკო კი აღნიშნავს: მატარებლის მეოთხე გაშვების თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყებიდან. მას გაჰყავდა რელსები „მარჯანიშვილისა“ და „რუსთაველის“ სადგურებს შორის გადასარბენზე, ამინტაჟებდა ესკალატორებს „ოქტომბრისა“ და „პოლტავიჩევის“ სადგურებში. — ბირონენკოსთანა ერთად ვეტერანები ბევრია მეტროშენებელთა ათასეულ კოლექტივში. ასობით კილომეტრი გაიარა მიწისქვეშ მელიანდაგე ი. მუსელიანმა, ბევრი მშვიდობიანი ფეთქება გაუგია მუშაობის 22 წლის მანძილზე ვვირაბგამყვან გ. კეკელიძეს, მეოთხედი საუკუნეა უზრუნველყოფს მეტროშენებელთა უსაფრთხო შრომას ავტომბატალიონ და ტელემექანიკის უბნის უფროსი ბ. საბუჯანოვი...

— ეს ჩემი მეოთხე გაშვებაა, — თქვა „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გოცირიძემ. — მაგრამ, ისევე ვღელავ, როგორც პირველად.

ღრმაღელის სადგური ჯერჯერობით არც ისე ლამაზად გამოიყურება, უფრო სწორად, მას სამუშაო იერი აქვს.

— ჩანარების დღისათვის ყველაფერი იბრწყინებს, — გვპირდება „თბილისგვირაბმშენის“ მთავარი ინჟინერი ბ. ფარულია. — მეტროს სამივე ახალი სადგური ერთკამარიანია, ღრმად არის გაყვანილი. ისინი ლამაზია, ნაღვლიანი და განსაზღვრულია ხუთვაგონიანი შემადგენლობისათვის. სადგურის კედლები მოპირკეთებულია მარმარილოთი, იატაკი — გრანიტით.

მატარებელს ტაშით შეხვდნენ. იგი მოაჯადა მემანქანე ფ. მახმაშვილს, რომელსაც, როგორც სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულს, მუშაობის დიდი სტაჟისა და გამოცდილების მქონე კაცს, მიანდეს საცდელი შემადგენლობის კონტროლიორთან დადგომის უფლება. პირველ მგზავრებს კი მატარებელი ახალი ტრასით დიდი ოქტომბრის 68 წლისთავის დღესასწაულის დღეებში გადაიყვანს.

საცდელი მატარებლის გაშვებას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. მესხიშვილი.

ლ. ტრუდკოვა,
საქართველოს ტელევიზიის კორ.

სურათებზე: მშენებლობის მოწინავენი — გვირაბგამყვანი ოლეგ ბერაძე, მემონტაჟე ბონიკალი პეტრე დავაძე, უბნის უფროსი ნუგზარ რევაზიშვილი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ისმაილ მუსელიანი, გვირაბგამყვანები ალექსანდრე ავალიანი და დავთი ტალახაძე; მემანქანე ფ. მახმაშვილის პირველ რეისში მიმყავს მატარებელი; პირველი მგზავრები — თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ტროს მშენებლები.

ბ.კაკაბაძის ფოტო
(საინფორმის ფოტოკორესპ.).

ოქტომბრის დღესასწაულის შესახვედრად

ამ ოასლოვდა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის სიმბოლოდ ქცეული დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების დაბადების დღე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 68 წლისთავი. და ყოველდღიურად მთელ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მატულობს საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა. საბჭოთა ადამიანები სიამაყით ავლებენ თვალს განვლილ გზას, უდიდესი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების შედეგებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ჩვენში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია — ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადება მიმდინარეობდეს ყველზე შექმნილ-გაკეთებულის მომთხოვნი დათვალიერების ნიშნით, აგრეთვე ომის ბათვალისწინებით, რაც კიდევ უნდა გაკეთდეს, რასაც ჩვენი შემდგომი ყურადღება და გულმოდგინება სჭირდება.

მტკიცედ დავიცვათ დიდი ოქტომბრის მონაპოვრები, მიეაღწიოთ ახალ მოჯნებს კომუნისტურ აღმშენებლობაში — აი ბრი, აი სულისკვეთება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებისა, რომლებიც გუშინწინ გამოქვეყნდა პრესაში.

წლეულს როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს მშრომელთა საოქტომბრო მზადების განსაკუთრებული ელფერი, განსაკუთრებული შინაარსი აქვს. მას კიდევ უფრო აშშვენებს და ამდიდრებს ის დიდი საქმეები, რომელიც ფართოდ გაიშალა მეთვრამეტე ხუთწლედის წარმატებით დასაგვირგვინებლად; ჩვენი ლენინური პარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად. ამიტომ მოწოდებებში ვკითხულობთ:

— **საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ახალი შრომითი წარმატებებით, საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი მიღწევებით შეეგებეთ სკკპ XXVII ყრილობას! ვიმუშაოთ დამკვრელურად, სტახანოვურად!**

დამკვრელურად, სტახანოვურად მუშაობა კი იმის გარანტიაა, რომ ნაოცილებლად შესრულდეს არა მარტო მიმდინარე წლის, არამედ მოლიანად მეთვრამეტე ხუთწლედის დავალებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში, რომლებიც მიმართულია თითოეული მუშისა და კოლმეურნისადმი, სახალხო მეურნეობის სპეციალისტისადმი, მეცნიერისადმი, დასახულია ამოცანები: გულმოდგინედ დაინერგოს წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, უფრო სწრაფად შეკმნათ დიდებრძოლებური მანქანები და მოწყობილობა, მიეაღწიოთ ეკონომიკის ინტენსიფიკაციას, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მშენებლობის ეფექტიანობას, მოსახლეობის მომსახურების მაღალ კულტურას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან გაფდებას, სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მეტი წვლილის შეტანას, მომკირნეობის რეჟიმის, როგორც სოციალისტური მეურნეობრიობის კანონის დაცვას, ყაირათიანობას.

დღეს ჩვენი პარტია განსაკუთრებით მოითხოვს და ყველა მშრომელის მოავარ, გადაუვებელ ამოცანად თვლის ყველას, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, ორგანიზებულობის გაძლიერებას, სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალის დამკვიდრებას.

და როგორც ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე, ამჟამადაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის თითოეული ჯარისკაცის პირად მაგალითს, მათს ჩამეკვნა ორის ამ საყოველთაო-სახალხო შემართებაში.

— კომუნისტებო! იყავით ყველის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფართო პროგრესში, მის ეკონომიკურ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში მცირე წვლილი როდი შეაქვთ ჩვენს რესპუბლიკას, მის ხალხს, მის კომპარტიას. ბოლო წლებში სულ უფრო დიდი და თვალსაჩინოა ეს წვლილი. ეს ახლაც, ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში, დაუხრულებლად გაიმართ საქართველოს მრომითი კოლექტივების წარმატებათა მაუწყებელი პატაკები.

საქართველოს მაგალითი დღეს კიდევ უფრო თვალნათლივ მოწმობს, თუ რა თანმიმდევრულად და სწორად ხორციელდება ლენინური ეროვნული პოლიტიკა, როგორ არის დაცული და დამკვიდრებული რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის უფლებები და ღირსებები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ავითარებს და მხარს უჭერს ყოველივე დადებითსა და პროგრესულს, რაც მოიპოვება ამა თუ იმ ერის, ეროვნების ხალხთა შრომასა და ცხოვრებაში.

პარტიის მოწოდებათა მეზნებარე სტრიქონებში ყველა ადამიანი — ვინც უნდა იყოს იგი და სადაც უნდა შრომობდეს — აუცილებლად იპოვის უშუალოდ მისადმი მიმართულ სიტყვებს, საკუთარ სახუნაგს, თავის სამოქმედო-გასაკეთებელს: სახალხო დეპუტატებმა თანამშრომლურლად უნდა გადაწყვიტონ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხები, იღვაწონ ამომრჩევლთა განაწესების შესრულებისათვის; საბჭოთა პროფკავშირებმა განაგიაორონ მასების ინიციატივა და აქტიურობა, იზრუნონ მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის; კომკავშირელები და ახალგაზრდები დაუეხრომლად ეუფლებოდნენ ცოდნას, ამრავლებდნენ მამა-პაპათა სახელოვან ტრადიციებს... მოწოდების სიტყვები მიმართულია აგრეთვე საბჭოეთის ქალებისადმი, რეკლიციის, ოფისა და შრომის ვეტერანებისადმი, სახალხო განათლების, კულტურის მუშაკებისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი, ჩვენი შეიარაღებული ძალების მამაცი მეომრებისადმი...

ბუნებრივია, რომ ოქტომბრის დღესასწაულს აღნიშნავენ ჩვენი მეგობრები საზღვარგარეთ, მთელი პროგრესული კაცობრიობა, რადგან ოქტომბრის დიადი საქმე ვანდა მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის საქმე. გაუქარა რა ისტორიის შემოწმებას და ცხადყო თავისი უძლეველი ძალა, მან სოციალიზმის მშენებლობისათვის ალაფრთოვანა სხვა ხალხები, მეტი რწმენა შესძინა პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, ფრთა შეასხა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

თანამიმდევრულად, მტკიცედ და ბრძნულად რომ ასორციელებს ლენინურ პოლიტიკურ კურსს ქვეყნის შიგნით, ჩვენი პარტია ამასთან იღვწის, რომ ხელშემწყობი საგარეო პირობები შეუქმნას კომუნისტურ მშენებლობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ამახსენებლელმა ვიზიტმა საფრანგეთში ერთხელ კიდევ ცხადყო ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მოსწრფვა — მშვიდობიანად, შეგობრულად იცხოვროს და ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან. პარტია დაბეჯითებით მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებს, რომ გააძლიერონ ბრძოლა ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის კოსმოსში და მისი შეჭეკვისათვის დედამიწაზე.

ისტორიული ოპტიმიზმით, ოქტომბრის საქმის გამარჯვების ღრმა რწმენით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სადღესასწაულო მიმართვა. საბჭოთა ხალხი გულით აღიქვამს სიტყვებს:

— ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისაკენ!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

1985 წლის 14 ოქტომბერს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებული პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები: გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, პ. ნ. ფედოსეევი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ს. ა. შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ა. ვ. ვლასოვი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

კომისიამ მზიანშეწონილად ცნო შემუშავებული პროექტი განსახილველად გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს. (საკდესი).

მივაღწიოთ დასახულს, გეზი ავიღოთ მომავლისაკენ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული გაფართოებული სხდომა

რესპუბლიკის თითოეული მშრომელის მოვალეობაა უზრუნველყოს მომდინარე წლის გეგმების უოუო შესრულება და ამით შექმნას მეთორმეტე ხუთწლედის გულდაჯერებული სტარტის წანამძღვრები. ასეთი მოთხოვნა წამოაყენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულმა გაფართოებულმა სხდომამ. სხდომაზე განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 9 თვის შედეგები, დასახეს წლისა და მოლიანად ხუთწლედის წარმატებული დამთავრების ღონისძიებანი.

გაერთიანებული სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქორთველიშვილმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დასახული მიზნების მიღწევა, აღინიშნა სხდომაზე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ორიენტირების განსაზღვრისათვის. დღეს უკვე საკმოდ გარკვევით შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შესრულდება წლიური და ხუთწლიანი დავალებანი.

სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მეოთხე კვარტალის დავალებანი უკვე გაიანგარიშა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და გაიცნო უშუალო შემსრულებლებს. ისინი უზრუნველყოფენ, რომ რესპუბლიკამ მიაღწიოს ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო დავალებებს და საკავალფიცოო ნაწილს შესასრულებლად. რაიმეს გადადება, გადავადება უკვე შეუძლებელია, ამიტომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, თითოეულმა ხელმძღვანელმა ზუსტად უნდა გაიაზროს ეს და ყოველი დონე იზმარილ, რათა წარმატებით განახორციელოს დასახული ამოცანები.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა: სამრეწველო წარმოების მოცულობის მატება 6,2 პროცენტის დონეზე რომ შევინარჩუნოთ, უკვე ოქტომბრში გეგმა 1,2 პროცენტის გადაჭარბებით უნდა შეგასრულოთ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეკონომიკის თანამედროვე მასშტაბის, მისი სწრაფი რიტმის პირობებში ყოველგვარ ჩაგვრდნას დამამთავრებელ ეტაპზე შეუძლია არარად აქციოს ყველფერი, რაც მიღწეულია დაძაბული შრომით. თუნდაც გარკვეული საძირკველი გვქონდეს ჩაყრილი, უნდა ვიმუშაოთ ძალ-ონის დაუზოგავად, გამოვიყენოთ მთელი შეესაძლებლობანი, წარმოების შიდა რესურსები. ეს საჭიროა თვით დარგებისთვისაც და მთლიანად რესპუბლიკისთვისაც. ყოველმა დარგმა, ყოველმა შრომითმა კოლექტივმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იმოქმედოს მთელი რესპუბლიკის ინტერესებისათვის. ამ პოზიციებიდან შეიფასდება ხელმძღვანელთა შუობა.

სხდომის მონაწილეებმა განსაზღვრეს მიმდინარე ამოცანები და განიხილეს მთელ რიგ დარგებში შექმნილი მდგომარეობა, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა.

უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ენერგოეკონომიყოფის საკითხები. ამავე დროს, როგორც ჰიდროენერგეტიკა, ისე თბოსადგურები არსებობლურად მუშაობენ, განიუფლი ამეორენენ ელექტროენერგიის გამომუშავებას. ბევრ შემთხვევაში ამისათვის პასუხისმგებლობა უშუალოდ ეკისრებათ საქმთავარენერგოს ხელმძღვანელებს (უფროსი — ი. ე. ჭუდია). ახლა ძირითადი სამძიმე თბოელექტროსადგურე ბ ს აწევთ. ამიტომ უახლოეს ორ-სამ კვირაში აქ უნდა დამთავრდეს სარემონტო კამპანია და მეოთხე კვარტალში გაიზარდოს ელექტროენერგიის წარმოება, რათა უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის სათანადო ელექტრომომარაგება.

ქვანახშირის მოპოვების საგეგმო დავალებებს ვერ უზრუნველყოფს ვერც გაერთიანება „საქქვანახშირი“ (გენერალური დირექტორი — ბ. გ. სანიკიძე), სადაც არსებითად უნდა შეეცვალონ დარგისადმი ხელმძღვანელობის სტილი, უზრუნველყოს მთელი მისი ქვეგანაყოფების რიტმული მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით აკრიტიკებენ. ქიმიური მრეწველობის საწარმოებს, კვლავ უხეშად ირღვევა მოწყობილობის მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი გაერთიანება „ქიმბოჭკოში“ (დირექტორი — ე. ს. ბაბრიჩიძე), დაბალია საექსპლოატაციო პერსონალის კვალიფიკაცია, საკმარისი არ არის საშემსრულებლო დისციპლინა. გაერთიანებას მეოთხე კვარტალისათვის მინიმალური დავალება მიეცა და მისი შესრულებისათვის მას მკაცრად მოეკითხება.

წლიური გეგმის დონეზე ნაკლები დავალება მიეცა გაერთიანება „აზოტსაც“ (დირექტორი — გ. ტ. გოგოლაძე). საჭიროა წესიერი დამყარონ საწარმოში, განახორციელონ ტექნოლოგიური მოწყობილობის მოცდენისა და სამუშაო დროის დანაკარგების მაქსიმალური შემცირების ღონისძიებანი.

დღეს მეტი მეცადინეობა მოითხოვებათ მანქანათსაშენებელი საწარმოების კოლექტივებსაც. სადაც არის მნიშვნელოვანი მოცულობის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობანი, განსაკუთრებით ჩამორჩენილ საწარმოთა დაწინაურების გზით.

წელს დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ საქართველოს სს რესპუბლიკის სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. ეს განსაკუთრებით ეხებათ ცემენტის ქარხნებს, სადაც ძალზე ცუდად იყენებენ ტექნოლოგიურ მოწყობილობას. დაუტვირთავია სიმძლავრეები ანსის ცემენტ-შიფერის კომბინატში, შეფერხებებით მოქმედებენ საწარმოები, რომლებიც უშვებენ საცეცხლე მასალებს, განსაკუთრებით აგურს.

რთული პრობლემები დგას რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე. უნდა შეასრულონ მეოთხე კვარტალისა და მთელი წლის დავალებანი, მიაღწიონ ზენორმატიული ნარჩენების მკეთრ შემცირებას, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეს უდიდესი სამინისტროა, და იგი მნიშვნელოვნად ამდენს გაიკრავს მთელი რესპუბლიკის მაჩვენებლებზე..

გადამწყვეტი როლი განეკუთვნებათ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებსაც, რომლებმაც მეოთხე კვარტალში უნდა გამოუშვან 4,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

რთულ მდგომარეობაშია „გაერთიანება „საქთვალზრეწვი“ (უფროსი — ზ. გ. ბოლქვაძე), სადაც უნდა მიაღწიონ არახელსაყრელი სარეწი ვითარების გამო დაშვებული გარღვევის გაქსიმალურ შემცირებას.

გადამწყვეტი პერიოდი დაუდგათ სოფლის მეურნეობის მშრომელებსაც. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. დ. მგელაძესა და რესპუბლიკის ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის მინისტრს თ. კ. ჯანდაბას.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

თანამშრომლობის გზით

14 ოქტომბერს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირლბიის დოკუმენტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა და ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა მ. კადაფიმ ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ლიბიის ჯამაჰირიის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სავაჭრო თანამშრომლობის განვითარების გრძელვადიან პროგრამას.

ოქმს ორივე ქვეყნის შორის პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ და საკონსულო კონვენციას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ და ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირის საგარეო ურთიერთობის სახალხო ბიუროს სახალხო კომიტეტის მდივანმა ალი ა ბდელ სალამ ტრეიკიმ.

ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვორობიანოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ბ. ნ. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. პონომარიოვი, ს. ლ. სოკოლოვი, ბ. ნ. ელცინი, ლ. ნ. ზაიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. პ. ნიკონოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი; ლიბიის მხრივ — მ. კადაფის თანმხლები ოფიციალური პირნი. (საკდესი).

• • •

სურათზე: ხელმოწერის დროს. საბჭოს-საკინფორმის ტელეფოტო.

კოსმოსურ ვახტზე

ფრანის მართვის ცენტრი. გრძელდება კოსმონავტების ვასიუტინის, სავიხიხისა და ვოლკოვის ორბიტული ფრენა.

ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დედამიწის ზედაპირის კომპლექსურ კვლევას, რომელიც შეიცავს ვიზუალურ დაკვირვებებს, ფოტოგადაღებასა და სპექტრომეტრებს. დღეს გეოფიზიკური გამოკვლევების ციკლი იყო ბალხაშისპირეთი, ჩრდილოეთ ყაზახეთი, არალისა და კასპიის ზღვები და კავკასია.

ხელაწყო „მარიას“ დაბმა-ერთით შესრულდა მაღალენერგეტიკული ელექტრონებისა და პოზიტრონების ნაკადის გაზომვათა მორიგი სერია დედამიწისიარგლოვ კოსმოსურ სივრცეში ამ ნაწილაკების გენერაციის მექანიზმების შესწავლის მიზნით.

დამთავრდა კოსმოსურ სივრცეში მეტეორიტული ნივთიერების შეგროვების ექსპერიმენტის პირველი ეტაპი. ეს ექსპერიმენტი ბორცელდება საბჭოთა და ფრანგ სპეციალისტთა მიერ შექმნილი ამარატურის გამოყენებით, რომელიც სადგურის გარე ზედაპირზე დადგეს ელადიერ ალნიბეკოოვმა და ვიქტორ სავინიხმა ღია კოსმოსში გასვლის დროს.

ტელემეტრიული გაზომვების შედეგებისა და ორბიტიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, „სალუტ-7“-„სოიუზ ტ-14“-„კოსმოს-1686“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

სამივე კოსმონავტი ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

მეგობრული შეხვედრა

12 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი შეხვდნენ ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელს მ. კადაფის, სსრ კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს მის თანმხლებ ოფიციალურ პირებს.

მეგობრული საუბრის დროს გაგრძელდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ლიბიის სხვადასხვა დარგის ურთიერთობლობის მთელ რიგ საკითხებზე. (საკდესი).

მ. კადაფი სსრ კავშირიდან გაემგზავრა

14 ოქტომბერს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მ. კადაფი. იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვეევით.

აეროდრომზე მ. კადაფი გაეცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ს. ლ. სოკოლოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ იმენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ალი ნასერ მუჰამედს და პრემიერ-მინისტრ ჰეიდარ აბუ ბაქრ ალ-ათას ბაუბანეს დაბადებისა, რომელშიც გულითადად მოილოცეს ეროვნული დღესასწაული, რევოლუციის დღე — 14 ოქტომბერი.

დეპეშაში იემენის სოციალისტურ პარტიას, მეგობრული დემოკრატიული იემენის უმაღლეს სახალხო საბჭოს, თავმჯობესა და ხალხს უსურვებენ ახალ წარმატებებს. სოციალისტური ორიენტაციის გზაზე, ახლო აღმოსავლეთში. ამპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, ამ რეგიონში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში.

მივაღწიოთ დასახულს, გეზი ავიღოთ მომავლისაკენ

(დასასრული)

მეცხოველეობის დარგში მთავარ ამოცანად რჩება მაქსიმალური მოცულობის საკვების დამზადება. განსაკუთრებულ შეფოთებას იწვევს მისი არასაკმარისი ტემპი, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

ძალზე საჭიროა, რომ აგრონომიერ-ეკონომიკურმა ყველა რგოლისათვის მოქმედების გაუხრწილ პროგრამად იქცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელი დადგენილება პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების შესახებ.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ტრანსპორტის მეშვეობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაგონების დროულ გადმტვირთვას. განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, მდგომარეობა აქ საკმაოდ რთული აღმოჩნდა: როგორც წესი, შაბათობით და კვირაობით ყოველ საანგარიშო დღე-ღამეში გადმოუტვირთავი რჩება დაახლოებით 150 ვაგონი. სხდომაზე რესპუბლიკის შესაბამისი სამსახურები და მათი ხელმძღვანელები გააფრთხილეს, რომ ვაგონების განტვირთვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ყოველ ფაქტს განიხილავენ ცენტრალური კომიტეტის მიუხედავად ბრალეულებს მკაცრ პარტიულ პასუხისმგებლობას დააკისრებენ.

ბოლო ხანს გარკვეული ძვრები დაისახა მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს განვითარებაში. შესრულდა მესამე კვარტალის ბირთვი გეგმა. მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ რთულია — ვერ უზრუნველყოფთ მთლიანად ცხრა თვის დაფაუბათა ერაოდენობაზე. ხელსაყრელი კონიუნქტურული პირობების მიუხედავად, საგეგმო დავალებებს თავი ვერ გაართვეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა, ხოლო ამაშის, ამბროლაურის, ვანის, ცხინვალის, ჯავის, გეგეჭკორის, დმანისის, ლენინების, სოხუმის, წულკანის, ხელვაჩაურის, ხულოს რაიონებში, აგრეთვე ქალაქ გორში საქონლის გაყიდვამ მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა კიდევ.

დღემდე ვერ მოხერხდა სათანადო წესრიგის დამყარება საზოგადოებრივი კვების სისტემაში, რაც გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზია, ამას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მარტო თბილისის რესტორნებში შემოწმების პერიოდში შემოსავალი 20 პროცენტით გაიზარდა და ობიექტების უმრავლესობამ ვეგმა შეასრულა.

სერიოზულ შეფოთებას იწვევს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხიც. შემოწმებანი სისტემატურად ავლენენ სტანდარტების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს. ასე, მაგალითად, გუდაუთის რაიონში საქონლეზრუნვის გეგმა ვერ სრულდება, ადგილობრივი რაიმენეწყვმბინაკის მიერ გამოშვებული საქონლის ხარისხის შემოწმებისას კი დაიწერეს მთელი შემოწმებული ტყავ-ბალანტერიისა და ტრიკოტაჟის ნაწარმი.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების პრობლემებს საგნობრივად უნდა მოკიდონ ხელი ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

რესპუბლიკის, მთლიანად ქვეყნის წინაშე მდგომი რთული და პასუხსაგები ამოცანების რეალიზაციის მთავარი პირობა ჯერ მოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია. ეს მოთხოვნა არაერთხელ წამოუყენებია ბოლო ხანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან მ. ს. გორბაჩოვს.

ფიქრობენ, ეს ზღვა საწარმოო ეკონომიკურ ინტენსიფიკაციის, პროდუქციის თვითფირნიერუბების მთავარ, ძოგების გეგმის შესრულების არა მარტო ეკონომიკურ, არამედ ორგანიზაციულ ასპექტებსაც. უნდა ვიმუშაოთ შემოქმედებითად, ეძებეთ ,წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმები და მეთოდები, ავამოქმედოთ ინტენსიფიკაციისათვის სტიმულირების დამატებითი ბერკეტები. პარტია ფიქრობს ყველა პირობას გვაქმნის ასეთი შუშაობისათვის, გვაძლევს შეუზღუდავ შესაძლებლობებს.

უნდა მივაღწიოთ იმის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედი გარდატეხის ხუთწლედი გახდეს რესპუბლიკისათვის ,ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ფაქტორების ამტკიცებელ ,ეფექტიანი ბაზის ,ქმნაში. ეს კი ნიშნავს, რომ ახლა ყოველ ხელმძღვანელს მოეთხოვება ცოდნის ინტენსიური შევსება, ინტენსიური შუშაობა საკუთარ თავზე, მმართველთანი აპარატის ინტენსიური, მეცნიერულად ორგანიზებული შრომა, გამბედაობა და ნოვატორობა.

ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი რეზერვია შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემგრმი განმტკიცება. განა არ შეიცავს ამ რეზერვებს სამუშაოზე დროულად მისვლა ან მშრომელთა სრული დატვირთვა? განა ნორმალურია, რომ სამუშაო დროს შეიძლება ქუჩაში შეხვდე ამდენ შრომისუნარიანი ისაკის ადამიანს? ეკონომი წესრიგი უნდა დავამყაროთ ყოველ საწარმოში, ყოველ ორგანიზაციაში, მოთხოვეს სხდომის მონაწილეებმი.

ინტენსიფიკაციის ,დონის ამაღლებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული ხელმძღვანელებზე, მათს პასუხისმგებლობაზე, საქმის ერთგულებაზე, მისი სწორად დაყენებისა და გაძღოლის უნარზე. სამეურნეო ხელმძღვანელი განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია. მინისტრს, უწყების ხელმძღვანელს უფლება აქვს გასცეს ბრძანებები, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებანი, ხელმძღვანელობს მთელი კოლეგიურობის მიუხედავად იგი მარტო აგებს პასუხს დარგში საქმის მდგომარეობისათვის. ასეთია ლენინური მოთხოვნა — ყველათვის განვამტკიცებდეთ ,კოლეგიურობას პერსონალური პასუხისმგებლობით

სხდომაზე დაკვეთ მანკიერი პრაქტიკა, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი. ცდილობს ყველა საკითხი წინასწარ შეუთანხმოს ზემდგომ რგოლებს, პარტიულ ორგანოებს, რათა სხვას გადაუღოცოს, მოიშოროს პასუხისმგებლობა მისაღები გადაწყვეტილების შედეგისათვის.

ხელმძღვანელის პირადი დისციპლინა, თვითკონტროლი, ალბათ, ყველაზე პრინციპული საკითხია. მხოლოდ იმას, ვინც თვითონ იძლევა საუკეთო ორგანიზებულობის მაგალითს, შეუძლია ჭკნდეს იმედი, რომ კოლეტივი დაუჭერს მხარს, მხოლოდ მას აქვს მორალური უფლება, მოპკითხოს სხვებს. ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიაპყრეს იმის, რომ ცენტრალური აპარატების ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკთა და თანამშრომელთა შორის გაბრძოდა შეთაკისების შემთხვევები, რაც უარყოფთის გავლენას ახდენს საქმეზე. რეგიერება ყოველგვარ დარღვევაზე, რა თანამდებობაც უნდა ეკავოს ამა თუ იმ მუშაკს, უაღრესად მკაცრი და პრინციპული იქნება.

ყველა საჭიროროტა საკითხის, საარსებო სამეურნეო ამოცანის გადასაწყვეტად, ალინშ-ნა სხდომაზე, საჭიროა მაქსიმალურად ვიყენებდეთ ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, ვავითარებდეთ შინაპარტიულ დემოკრატიას, ვზრდიდეთ მომთხოვნელობას პარტიულ ხელმძღვანელობას ყველა რგოლში, არც ერთი წუთით არ უნდა შეეკოლოთ ყურადღება პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადებისადმი. ყოველ მშრომელს, ყოველ ხელმძღვანელს, ყოველ კომუნისტს ორიენტირად უნდა ჰქონდეს დასახული შეფოთმეტე ხუთწლედის ამოცანები. იმაზე, თუ რამდენად მომზადებული მიეგებებინ ამ მიჯნებს, რამდენად ცოდნა-ჭერენით დაეფუძნებ მას, დამოკიდებულია რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რესპუბლიკური პარტიორგანიზაციის მუშაობის შეფასება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა ფინანსთა მინისტრთა საბჭოს ,ბრეზიდენტ ,ალიოშინის ,ბრეზიდენტობა ,ბრეზიდენტ ,ალიევი ,ბრეზიდენტ ,ალიევ ,ბრეზიდენტ ,ალიევ ,ბრეზიდენტ ,ალიევ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეფუტკრეობის განვითარების საქმეში არსებულ ხარვეზთა დარღვევა-ნაკლოვანებათა შესახებ და სათანადო დადგენილება მიიღო.

მასობრივმა შემოწმებამ ცხადყო, რომ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, მეფუტკრეობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, ასევე საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, საქართველოს სსრ გზაფიფაცის სახელმწიფო კომიტეტმა და „საქმაგაზწყალშენმა“ ვერ უზრუნველყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 მარტის დადგენილების მოთხოვნათა შესრულება, რამაც ცუდად იმოქმედა რესპუბლიკის მეფუტკრეობის განვითარებაზე და მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე. 1985 წლის 1 იანვრისთვის ფუტკრის ოჯახების საერთო რაოდენობამ საზოგადოებრივ მეურნეობებში შეადგინა 54,7 ათასი ოჯახი, ანუ 1980 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,1 ათასი ოჯახით, ხოლო აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებასთან შედარებით 42,7 ათასი ოჯახით ნაკლები. ფუტკრის ოჯახების ზრდის დაგეგმა რესპუბლიკის 69 რაიონიდან არ შეესრულებია 58-ს, უფრო მეტიც — 42 რაიონმა 1982 წელთან შედარებით შეამცირა ფუტკრის ოჯახების რაოდენობა. ამავე პერიოდში სასარგლო თაფლის გამოსავლიანობა 286 ტონიდან შემცირდა 192 ტონამდე, ხოლო თაფლის გამოსავლიანობა ერთი ფუტკრის ოჯახიდან 4,4 კილოგრამიდან — 3,9 კილოგრამამდე. 1984 წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 62 ტონა თაფლი, ანუ 1981 წელთან შედარებით 8,2 ტონით ნაკლები, დადგენილებით კი თაფლის სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა 1984 წლისთვის 490 ტონამდე უნდა გაზრდილიყო.

რატომ შემოსწყრნენ ფუტკარს?

სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებებია აგრეთვე მეფუტკრეობის რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სამეურნეო საქმიანობაში. გაერთიანების მეფუტკრეობის სანაშენე მეურნეობები ვერ ასრულებენ ფუტკრის ოჯახების ყოლის, სასაქონლო თაფლის წარმოების, აბანათნაყოფის და დედა ფუტკრის მიღების გეგმებს. შემოწმებით გამოვლინდა ისიც, რომ მეფუტკრეობის რესპუბლიკურ გაერთიანებაში, ამავე გაერთიანების მეფუტკრეობის სანაშენე მეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესულტენელია სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

გაერთიანების 23 ინსპექტორმა ზოოტექნიკოსის საქმიანობა ფორმალურია — ისინი ეერაგვითარ გავლენას ვერ ახდენენ დარგის განვითარებაზე. ამასთან, სარგებლობენ რა მეფუტკრეობის რესპუბლიკური გაერთიანების სრული უკონტროლობით, სხვადასხვა სიყალბეს, ქმნიან სახელმწიფო თანხების მითვისების პირობებს.

მეფუტკრეობის რესპუბლიკური გაერთიანების ხელმძღვანელობა და ბუღალტერია სამუშაო დროის აღრიცხვის ფურცლების (ტაბელის) წარმოუდგენლად ხელალებით გასცემენ ხელფასებს. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონების ზონის ინსპექტორის ტაბელი დამოწმებულია მარნეულის სარაიონთაშორისო სანორმატივო კვლევითი პუნქტის ბეჭდით. ანალოგიურად სხვადასხვა ორგანიზაციის ბეჭდითაა დამოწმებული წითელწყაროს, ლაგოდეხის, სიღნაღის, და გარდაბნის, კასპის და ყაზბეგის ზონების, ინსპექტორთა ტაბელები.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა 1983 წელს ბრძანებით მეფუტკრეობის გაერთიანების ზონის ინსპექტორთა სიჯნაგა ისე დანაშნა თანამდებობაზე კომიტეტის საკადრო-მოების მთავარ სამმართველოში, რომ გაერთიანებისათვის არც უცნობებია და არც შრომის წიგნაკი მოუთხოვია. ამის შედეგად სიჯნაგა ორივე ადგილდან ღებულობდა ხელფასს და მასზე გაცემულია 3335 მანეთი.

აჭარის ასსრ მეფუტკრეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ხელმძღვანელობამ ბათუმის მსუბუქი ტაქსების გაერთიანების მძღოლი კახიძე 1984 წლის ივლისტიდან დანშნა მეფუტკრის დამხმარედ, ხოლო 1984 წლის ოქტომბერში — მეფუტკრედ (ამავე დროს მძღოლიც იყო).

ბაგრატიონ მეფუტკრეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ბუღალტერ-ლომამ ბათუმის ბუნებრივი ტაქსების გაერთიანების მძღოლი კახიძე 1984 წლის ივლისტიდან დანშნა მეფუტკრის დამხმარედ, ხოლო 1984 წლის ოქტომბერში — მეფუტკრედ (ამავე დროს მძღოლიც იყო).

ბაგრატიონ მეფუტკრეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების ბუღალტერ-ლომამ ბათუმის ბუნებრივი ტაქსების გაერთიანების ბუღალტერ-ლომა 1984 წლის ოქტომბერში — მეფუტკრედ (ამავე დროს ბუღალტერიც იყო).

ბაგრატიონ მეფუტკრეობის სამეურნეობათაშორისო

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

14 ოქტომბერი ● საკლესიო იუწყება

განიხილავენ სამოქალაქო ამოცანებს

ანკარა. დღეს აქ მუშაობა დაიწყო კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის V ყრილობამ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს დაახლოებით 300 დელეგატი — ქვეყნის პატრიოტი ორგანიზაციები წარმომადგენლები. მათ უნდა შეაჯამონ რევოლუციის გმირჯვების შემდეგ პარტიის საქმიანობის, წინა ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესრულების შედეგები, განსაზღვრონ მომავალი პერიოდის პერსპექტივები. განიხილავენ აგრეთვე ცვლილებებს პარტიის წესდებაში, გაიმართება კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

ყრილობაზე ჩამოსულ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს შორისაა სკკპ დელეგაციის სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ა. ე. ვოსის მეთაურობით.

● შვეიცარია

ლტოკაროლმი. შვეიცარიის ქალაქი კირუნა პოლარული წრის მიღმა მდებარეობს, საბჭოთა ქალაქი რუსთავი კი, რომელიც ცნობილია ქართველ მეტალურგთა შრომითი მიღწევებით, მრავალი ათასი კილომეტრითაა დაშორებული შვეიცარიის და სამხრეთ ევროპის მდებარეობს. მაგრამ მანძილი ხელს ვერ უშლის ორი დამოუკიდებელი ქალაქის მეგობრობას. ამას დამოჯერებლად ადასტურებს რუსთავის დღეები, რომლებიც პირველად გაიმართა შვეიცარიის მიწა-წყალზე.

დღეების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოვიდნენ კირუნის მერი ნ. ლინდი და კომეფლიერი გამგეობის თავმჯდომარე გ. პეტერსონი, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ ქართველ სტუმართა დელეგაციას. დელეგაციას მეთაურობს რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ნ. ჭეიშვილი. მათ ხაზი გაუსვეს, რომ ორი ქალაქის ძმური ურთიერთობა დიდნაშენებულოვანი წვლილია საბჭოთა და შვეიცარიის ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების გაფართოების საქმეში, სსრ კავშირისა და შეიცის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებაში. ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც 40 წლის წინათ განაცდევინა ჰიტლერული გერმანია და იხსნა მსოფლიო ფაშიზმის მიხაკისფერი ჭირისაგან, დღესაც დიდნაშენებულოვან როლს ასრულებს შშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

კირუნელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ფოტოგამოფენამ „სამარადამო გმირობა“, რომელიც რატუშის დარბაზებში მოეწყო და ასახავს საბჭოთა ხალხის გადგმაწყვეტ წელილს ფაშიზმის განადგურებაში, იმ მეცადინეობას, აზე რომ ებრძოლ საბჭოთა კავშირი პლანტაზე მტკიცე მშვიდობის შენარჩუნების საქმეს. შვეიცარიელ უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ქართველ მხატვართა ფერწერისა და გრაფიკის, ცნობილი ქართული ჭედურობის გამოფენები, ნორჩ რუსთაველთა ნახატების დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის ეგზიბიციები. ისინი კირუნის მცხოვრებლებს ძლევნად გადაეცათ როგორც მეგობრობისა და ურთიერთგაგების სიმბოლო. მეუხარე ტაშით შეხვდნენ კირუნელები საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „რუსთაველ“ სოლისტთა კონცერტებს. მზიური რესპუბლიკის წარმოგზავნილები გამოვიდნენ შახტაზ შეიდ მეშახტეთა წინაშე, რომლებიც ღიღინენ ცნობილ კირუნის მადანს.

ბევრი რამ აქვთ სათქმელი შეიდ მეშახტს ცნობილი ქართველი მეფოლადის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, რუსთაველ მეტალურგიული კომბინატის უფროსი მეტრის ზ. ი. ლომძინძისგანაც. „მადნისა და ლითონის“ ჭეიდრო კავშირურთიერთობით ამ დღეებში სამმოლურად აღნიშნენ ორი დამოუკიდებელი ქალაქის მეგობრობის მტკიცე კავშირურთიერთობას, რომელთა მცხოვრებლებმაც კარგად იციან მშვიდობიანი შრომის დიდი ყადრი და არ სურთ, რომ იგი დაარღვიოს სომბრმა აფეთქებებმა. ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან მრავალრიცხოვანი შეხვედრების დროს საქართველოს წარმოგზავნილები შეიდეს უამბობენ საბჭოთა კავშირის დიდი საშვიდობო ინიციატივების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა რომ ჩამოაყალიბა ფრანგი პარლამენტარების წინაშე გამოსვლისას, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების უმთავრეს პრობლემებზე სსრ კავშირის კონსტრუქციული პოზიციის შესახებ.

„ეკონი იყოს თქვენი მობრძანება, ქართველო მეგობრებო!“ — ეს სატყვები ახლა ხშირად გაისმის შვეიცარიის ქალაქის კირუნის ქუჩებში. მზიური რუსთაველ სიიმღერ, როგორც ხატოვნად „ლინშნავენ ადგილობრივი გაზეთები, გაათბო „ცივი“ ევროპოლარეთის ქალაქი კირუნა.

დემოკრატიული იემენის ხალხის დღესასწაული

ადენი. დღეს დემოკრატიული იემენის ხალხი რევოლუციის დღეს აღნიშნავს. 22 წლის წინათ ინდოფაშის მოებში აღიმართა ინვალილი კოლონიზატორების წინააღმდეგ იემენის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს. აჯანყებულმა ხალხმა დასძლია იმპერიალიზმს, რეაქციისა და კოლონიალიზმის ძალების წინააღმდეგობა, გასწორა თანამობთა თავისი სუკეთესო შვილის სიცოცხლე და გაიმარჯვა. განდევნა რა თავისი მიწიდან ოკუპანტები, იგი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას და შეუდგა ახალი პროგრესული საზოგადოების მშენებლობას.

წლევანდელ დღესასწაულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შშრომელებისათვის. იგი მიმდინარეობს იემენის სოციალისტური პარტიის III ყრილობის მუშაობის დღეებში, რომლის ხელმძღვანელობითაც ქვეყანა ადგას სოციალისტური ორიენტაციის გზას. რევოლუციის დღესთან დაკავშირებით დღეს ადენალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე გაიმართა შშრომელთა დემონსტრაცია. ზეიმს დაესწრნენ იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ნ. ფუმპაფი, იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და რესპუბლიკის მთავრობის წევრები, იემენის სოციალისტური პარტიის მომდინარე ყრილობის დელეგატები. შშრომელთა დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე დემოკრატიულ იემენის სხვა ქალაქებსა და პროვინციულ ცენტრებში.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი. ერაყის ავიაცია უტევდა და დაანახა „დიდ საზღვარ სამიზნე“ სპარსეთის ყურეში ირანის ხანაპირთთან, იუწყება მთავარი სამხედრო სარდლობის წარმომადგენელი. ფორონტის ჩრდილოეთ ნაწილში და „დიდნარე ტიგროსის ლმოსავლეთით“ მდებარე კრაიოშნი ერაყელთა ჯარების მოწინააღმდეგის ბანაკებზე ერაყელ ბომბდამშენებმა ბომბები ჩაუშვეს. ირანელთა ქვემეხების ცეცხლით ქალაქ ბაპთარის რაიონში დაინგრა რამდენიმე სათალთალო საგუშაგო და ერაყის ქვეითი ჯარის თავშესაფარი. დაზიანებულია და დაჭრილია მოწინააღმდეგის მრავალი ჯარისკაცი.

ქალაქში „ბადანი მნიშვნელოვნად დაინგრა ერაყელთა შორსმსროლელი ქვემეხების ცეცხლის შედეგად.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲨᲘ

გულითადად შეეგება იაკობ გოგებაშვილს მშობლიური სოფელი ვარიანი სტეპრეს, რომლებიც აწ უკვე სახალხო დღესასწაულად ქცეულ „იაკობობაზე“ მოვიდნენ.

ლამაზად მორთულ ქუჩებში, სოფლის მოედანზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. „დედა ენა“, „ბუნების კარის“, „რუსკოე სლოვოს“ ილუსტრაციები, დიდი განმანათლებლის შეხედულებანი სწავლაზე, ენის სასახურზე, საშშობლოს სიყვარულზე სტენდებად, ტრანსპარანტებად, გონივრულად მოფიქრებულ თვალსაჩინოებად გამოეფინათ თასპინძლები.

ყველგან და ყველფერში ეგრძნობოდა მარად ჩვენი თანამედროვეის, მასწავლებელთა მასწავლებლის — იაკობ გოგებაშვილის სახელისადმი უსაზღვრო მოკრძალება და სიყვარული.

ამის თაობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მდივანმა გულნარა ჯაშვილმა და საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ოთარ ჭინქლაძემ.

გაიმართა თეატრალური წარმოდგენა და კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გორის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. გვიან საღამომდე გაგრძელდა სპორტული თამაშობანი და სახალხო სეირნობა.

გ. ᲗᲐᲕᲐᲯᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

მხატვრული სიტყვის უკვდავება

...ᲗᲐᲯᲐᲚ მთებს შეფენია სოფელი წერაქვი, სადაც 105 წლის წინათ დიაბადა გამორჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ზრუნვის მეოხებით ამ სოფელში კვლავ დაიწყო სისხლსავსე და საინტერესო ცხოვრება. ახლა წერაქვი, ისევე როგორც ჭერემი, გარეჯი, უდაბნო, საქართველოს სხვა ადგილი მთის სოფლები, პატრიოტი მწერლის ყველაზე თამამი ოცნების თვალსაჩინო განხორციელებაა. გასულ კვირას აქ გამართულმა დღესასწაულმა „მამულიშვილობამ“ მკაფიოდ ცხადყო მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული სიტყვის უკვდავება.

„მწერალი პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერისა“— თქვა მან, და ეს სიტყვები გამოხატავს იმ ოსტატის შემოქმედებით ცხოვრების აზრს, რომლისთვისაც საშშობლოს სამსახური იყო თავიდათავი ყველაფრისა. თავისს შემოქმედებით მან დადასტურა ამ სიტყვების სიმართლე, შექმნა რა ბრწყინვალე ნაწარმოებები, ქართული ლიტერატურის, მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სიამაყედ რომ იქცა. თავის ქმნილებებში მ. ჯავახიშვილი ეხებოდა ადამიანის სულის ყველაზე სანუკვარ სიმებს, გამოხატა თავისუფლებისადმი, ბედნიერებისადმი ხალხის მისწრაფება.

მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ზეიმი გახსნა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. მამედოვმა.

მწერლის შემოქმედებაზე, ქართული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში მის წვლილზე ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებმა რ. მიმინოშვილმა და რ. ამაშუკელმა, კრიტიკოსმა გ. გვეტრწიოელმა, პოეტებმა ლ. ერამეკ, ი. ორჯონიკიძემ და სხვებმა. მათ ხაზი გაუსვეს მწერლის შემოქმედების დიდ ძალას, რომელიც ადამიანებს მოუწოდებს სიყვარულისა და სიკეთისაკენ, ერთიერთგაგებისა და სამშობლოს ერთგული სამსახურისათვის.

ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, პარტიის თბილისის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ლომძე.

(საქინფორმი).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲬᲐᲜᲐᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

დღეს, 15 ოქტომბერს, თბილისში იხსნება სამედიცინო ტექნიკის გამოფენა-დემონსტრაცია, რომელიც დაამზადეს ბუდაპეშტმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკამ, კუბამ, პოლონეთმა, საბჭოთა კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, იუგოსლავიამ და ფინეთმა.

ჩვენმა კორესპონდენტმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამედიცინო ტექნიკის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბორის ლეონოვს სთხოვა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს გააცნოს საბჭოთა კონსტრუქტორების მიღწევები მედიცინისათვის საჭირო ახალი ხელსაწყოებსა და აპარატების შექმნის საქმეში, მომავ ქვეყნების თანამედროვე აპარატურით, ინსტრუქციებითა და მოწყობილობით ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვის დარგის სპეციალისტების ერთობლივი მუშაობა.

— 2000 წლამდე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კომპლექსური პროგრამის შესრულებაში — თქვა პროფესორმა ბ. ლეონოვმა, — არცთუ მცირე როლს ასრულებს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესება და თანამედროვე მოწყობილობითა და ავტომატიზებული აპარატურით მისი აღჭურვა ფაქრთო საქმიანობასა და პოლიკლინიკებში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა დასანერგავად.

ჩვენ სამედიცინო ტექნიკის სწრაფი განვითარების მოწმენი ვართ. ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს დაავადებათა დიაგნოსტიკასთვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა განვითარების მაგალითზე. თანამედროვე ექიმს თავს ატყდება უამრავი სამედიცინო-ნოკოგიური ინფორმაცია: კლინიკური და ბიოქიმიური ანალიზების შედეგები, რენტგენოგრამები, კარდიოგრამები, ექოგრამები, ენცეფალოგრამები და მრავალი სხვა. მედიკოსები უკვე ვეღარ აუდიან მიღებული ინფორმაციის უზარმაზარი მასიების გაანალიზებას. წარმოიშვა ამ პროცესის ავტომატიზაციის პრობლემა,რომელსაც ინერნრბა მა წარმატებით გაართვეს თავი: შეიქმნა რამდენიმე ხელსაწყო და სისტემა, რომლებიც ავტომატურად ამუშავებენ და აანალიზებენ ინფორმაციას და მზა შედეგებსა და რეკომენდაციებს აძლევენ ექიმს. უფრო მეტიც, მარტივ მოწყობილობას, რომელიც ერთი რომელიმე მაჩვენებლის რეგისტრირების საშუალებას იძლევა, უკვე ცალის ჩაშენებული გამოთვლითი ტექნიკის მეშვეობით ელექსწყობენ, რომლებსაც შეუძლიათ გადაიღონ, გააანალიზონ და ექიმს წარუდგინონ დამუშავებული ფიზიოლოგიური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა ორგანიზმში მისი ცალკეული ორგანოებისა და სისტემების ცხოველმოქმედების მრავალი მახასიათებლის გამოკვლევის საფეძველზე.

საბჭოთა კონსტრუქტორებს დიდი მიღწევები აქვთ თანამედროვე სამკურნალო ტექნიკის შექმნაშიც. მას ახასიათებს მრავალფეროვანი ფუნციონალური ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, და ის, რომ ფართოდ მოიცავს მედიცინის მიმართულებებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თბილისში ეფსპონერებული ხელსაწყოები: ფიზიოთერაპიული აპარატები „გეიროლა“, „უზტ-104, ახალი ელექტროკარდიოსტიმულატორების გამა, ულტრაბგერითი ხელსაწყო ლორ-3 და სხვ.

ამკამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ტექნიკური საშუალებებით კომპლექსურ აღჭურვას, რაც საშუალებას იძლევა უფრო სრულად და რაციონალურად გამოიყენოთ მოწყობილობა და შეეუმსუბუქოთ შრომა პერსონალს. ასეთია, მაგალითად, „კარდიოკომპლექს-50“, რომლის დანმარებით ერთდროულად ვადგენენთ თვალყურს რადენიმე ძმიმე ავადმყოფს.

საგანგები ინტერვიუში არ არის შესაძლებლობა, დაწვრილებით ვილაპარაკოთ საბჭოთა კავშირში შექმნილ და დამზადებულ მრავალფეროვან თანამედროვე სამედიცინო ტექნიკაზე. საკმარისია ითქვას, რომ ამ მასშტაბურ მუშაობაში მონაწილეობს 40-ზე მეტი სამინისტროს და უწყების ასობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო და ქარხანა. მაგრამ დღეს ძლიერ, მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ სახელმწიფოსაც კი არ ძალუძს დამოუკიდებლად უზრუნველყოს ყველა საჭირო სამედიცინო მოწყობილობისა და აპარატურის განვითარება. ამისათვის აუცილებელია მრავალი ქვეყნის წამყვან საწარმოთა და გაერთიანებათა მეცადინეობა, შრომის საერთაშორისო დანაწილება.

ამ მიზნით 1971 წელს, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის მიღების შემდეგ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შეთანხმების შესაბამისად შეიქმნა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები — სამედიცინო ტექნიკის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საცდელი ინსტიტუტის ერთობლივ ძალისხმევა. ეს ორგანიზაციები ერთიანდებიან ერთ ეკონომიკურ ორგანიზაციად,